ხაშურის მოამბე

№23 (305) 26 ივლისი, ორშაბათი, 2021 წელი

კელი დეგნანი: - ვამაყობთ, რომ მხარს ვუჭერთ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ენთუზიაზმით აღსავსე ინგლისური ენის ახალ მასწავლებლებს

ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, რომ გასულ კვირას, ხაშურს სტუმრობდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში კელი დეგნანი, რომელმაც ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ამერიკული კუთხე მოინახულა და, პარალელურად, ინგლისური ენის პედაგოგებს შეხვდა.

– ვამაყობთ, რომ მხარს ვუჭერთ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ენთუზიაზმით აღსავსე ინგლისური ენის ახალ მასწავლებლებს, რომლებიც ამ ზაფხულს აუმჯობესებენ თავიანთ პროფესიულ კვალიფიკაციას. ხაშურის ამერიკული კუთხე, საქართველოს მასშტაბით ამერიკული სტილის ცხრა საზოგადოებრივი ცენტრიდან ერთ-ერთი, ამ მასწავლებლებთან თანამშრომლობს მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რათა მათმა მოსწავლეებმა ხარისხიანი განათლება მიიღონ. ელჩი დეგნანი ხაშურის ამერიკულ კუთხეში ამ მასწავლებლებს შეხვდა და წარმატებული ტრენინგების ჩატარება მიულოცა. მომავალ წელს ამ მასწავლებლების საქმიანობა თავიანთ კლასებში ზეგავლენას მოახდენს მათი

მოსწავლეების სამომავლო კარიერაზე და დაეხმარება საქართველოს მომავლის განსაზღვრას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებს შეხვდნენ

შეხვედრაზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ტალახაძემ, სახალხო დამცველის რეგიონულმა წარმომადგენლმა ანა ჯანიაშვილმა და სახალხო დამცველის რეგიონულმა წარმომადგენელმა გენდერის საკითხებში თამარ ცხოვრებაძემ ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს გააცნეს კვლევის „ქალები და მობილობა“ შედეგები და მიგნებები და რეკომენდაციები გაუზიარეს.

შეხვედრაზე იმსჯელეს ქალთა მობილობის შემაფერხებელ და ხელშემწყობ ფაქტორებზე და განიხილეს თვითმმართველობის როლი ქალთა გაძლიერების ხელშეწყობის მიმართულებით.

ალოობა -2021 დაიწყო

ალოობა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის და მთელი ქვეყნისათვისაც, რადგან მარცვლეულის თუ პირუტყვის საკვების ჭარბი რაოდენობა ეკონომიკის აღმავლობასაც უწყობს ხელს და ამიტომაცაა ეს სეგმენტი ქვეყნის მთავრობის ყურადღების ქვეშ.

ალოობა-2021, საქართველოში, ივნისში დაიწყო და ძირითადად, კახეთის რეგიონი მოიცვა. გასაგები მიზეზის გამო, შიდა ქართის ზონა გვიან იწყებს ამ პროცესს. ჩვენს მუნიციპალიტეტში მარცვლეულის დაბინავება 17 ივლისს დაიწყო. როგორც სოფლის განვითარების სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამსახურის ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა ჯემალ გელაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, თავდაპირველად შერჩევითი აღება განხორციელდა, მასიურად კი ეს პროცესი 20 ივლისიდან დაიწყო. დღეისათვის, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რვა ადგილობრივი და ოთხი შპს „მექანიზატორის“ მიერ გამოგზავნილი კომბაინი მუშაობს, დამატებით მათგან, ამ დღეებში, კიდევ 3 კომბაინს ელიან.

ამჟამად, ალოობა ფართო მასშტაბით მიმდინარეობს გომის, ალის, ხცისის, წრომის და ცხრამუხის ზონებში (ბატონ ჯემალთან საუბარი 23 ივლისსაა ჩაწერილი). ორ-სამ დღეში მათ რიცხვს ფლევი-ოსიაურის ზონაც დაემატება. მუნიციპალიტეტში, მთლიანად, მარცვლეული კულტურა 2950 ჰექტრამდეა დათესილი. აქედან - 1680 ჰექტარზე - ხორბალი, 570 ჰექტარზე - ქერი და 700 ჰექტარზე - შვრია. წინასწარი მონაცემებით, საშუალო მოსავლიანობა წელს ასეთი იქნება: ხორბალი - 2,5 ტონაზე მეტი (ცალკეულ მონაკვეთებზე მიღებულია 4-5 ტონა); ქერი - 2 ტონაზე მეტი და შვრია - 1,5 ტონაზე მეტი. აღსანიშნავია, რომ შვრიის 700 ჰექტრიანი ნათესიდან მარცვლად ნახევარს აიღებენ, დანარჩენს კი - ე.წ. „მწვანე მასას“ პირუტყვის საკვებად დააბინავებენ.

ბოლო დღეების წვიმიანმა ამინდებმა ოდნავ შეაფერხა ალოობის პროცესი, თუმცა აგვისტოს პირველ დეკადაში მარცვლეულის აღება მაინც დასრულდება.

ალოობაში აქტიურად არიან ჩართულები გუბერნიის ხელმძღვანელობა, მუნიციპალიტეტის მერია, სოფლის რწმუნებულები, რაც, თავისთავად, იძლევა გარანტიას რომ ალოობა-2021 ჩვენს მუნიციპალიტეტში წარმატებით დასრულდება,- აღნიშნა საუბრის ბოლოს ბატონმა ჯემალმა.

ხაშურში, კოსტავას ქ №11-ში, იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა

საზეიმო ლენტი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად ქურდაძემ და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა გაჭრეს.

ცენტრის წარმომადგენლების განმარტებით, საკონსულტაციო ცენტრში მომუშავე იურისტ-კონსულტანტი სამართლებრივ რჩევებს გასცემს სხვადასხვა საკითხებზე: სოციალურად დაუცველთა უფლებები, საბანკო ურთიერთობები, მიწის და უძრავი ქონების რეგისტრაცია, მემკვიდრეობა, შრომითი დავები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, მხარდამჭერად დანიშვნის საკითხები და სხვა აქტუალური პრობლემები.

ცენტრის გახსნის შემდეგ, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, იურიდიული სამსახურის დირექტორმა, ადგილობრივებს გააცნო იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები და უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების კრიტერიუმები. მანვე აღნიშნა, რომ შეხვედრის მიზანი მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებაა.

ხაშურში, იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა.

ხაშური არის ქალაქი, სადაც ასე სიყვარულით კითხულობენ „ვეფხისტყაოსანს"!

ხაშური არის ქალაქი, სადაც ასე სიყვარულით კითხულობენ " ვეფხისტყაოსანს"! ეს ფრაზა, ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ბატონმა სოსო კოტორეიშვილმა სიხარულით წარმოთქვა!

ამ დღეებში, ხაშურის მთავარი ბიბლიოთეკის თეატრალური სტუდიის მოსწავლეებმა ქალაქ ბათუმის სამუზეუმო გაერთიანების მოწვევით, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმში წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია" ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს" . პედაგოგები- ქალბატონები ლალი პაპუაშვილი, ხათუნა ჩიტაძე და ნონა ტეფნაძე. ახალგაზდებმა წარმოადგინეს ფაქიზი და ამავე დროს სიღრმისეული ცოდნა ჩვენი საგანძურის.. ღონისძიებას ესწრებოდნენ ბათუმის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორი, თეონა ზოიძე, დირექტორის მოადგილე, ინგა გოგობერიძე, ბაღდადის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორი ვაკო კვინიხიძე და მისი მოადგილე სოსო კოტორეიშვილი და საზოგადოების წარმომადგენლები.

ხაშურში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში, ლიფტების რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება

პროექტის ფარგლებში, შეიცვალა ლიფტის კაბინები, ელექტრო სისტემები, ძრავი, ბაგირები, გამოძახების ღილაკები.

პროექტის განსახორციელებლად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 70 726 ლარი გამოიყო. ხოლო, თანამონაწილეობის პრინციპით, ამხანაგობების სახით, მოსახლეობამაც შეიტანა გარკვეული წვლილი.

აღნიშნულ კორპუსში, ლიფტების პრობლემა, ათწლეულების მანძილზე მოუგვარებელი იყო, რაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს ართულებდა. ამჯერად კი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით და ამხანაგობის თანამონაწილეობით, აღნიშნული კორპუსის სამივე სადარბაზოში, ლიფტების პრობლემა მოგვარდება.

ხაშურში, მრავალსართულიან კორპუსებში ლიფტების მოწესრიგება კვლავაც გაგრძელდება.



სოფელ რუსაანთუბანში, ბეტონის გზის მოწყობა დასრულებულია

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის, ქვიშხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ რუსაანთუბანში, 1 120 გრძივი მეტრი გზის საფარი დაიგო. პროექტის ფარგლებში, მოეწყო სანიაღვრე არხები და დაიხაზა საგზაო ინფრასტრუქტურა.

სამუშაოებმა, რომელიც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით განხორციელდა, ჯამში, 818 384.00 ლარი შეადგინა.

1818 წლის კამერალური აღწერა და ხაშურის მუნიციპალიტეტი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22)

16. სარქის ოგანეზოვი, ქვრივი, ჰყავს ვაჟი, გიგოლა და ქალიშვილი. ოჯახის ყველა წევრი ეთნიკურად სომეხია.

ეს სამსულიანი ოჯახი ცხოვრობს სხვის სახლში, დღიურად მუშაობის ქირით იღებს სარჩოს.

17. მიკირტუმ ოგანესაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი არუთინი, ქალიშვილი. ეთნიკური სომხები.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 30 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 4 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

18. გაბრიელ არუთინაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: მირზა და დავითი, მასთან ერთ ოჯახად მისი ძმა დანიელი, მისი ცოლი, ვაჟი იოსები. ყველა ეთნიკური სომეხია.

ამ ცხრასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ საბატონო მიწას, იღებს 50 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი, 4 სული, ხვნა-თესვითა და დალაქობით იღებს სარჩოს.

19. სააკა ავაქაშვილი, მისი ვაჟი არუთინი, დედა. ყველა ეთნიკურად სომეხი.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 25 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი, 6 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვითა და დალაქობით იღებს წლიურ სარჩოს

20. სიმონ არუთინაშვილი, მისი ვაჟი არუთინი, ეთნიკური სომხები.

ცხოვრობენ სხვის სახლში, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 12 სული, თავს ირჩენენ საქონლის მწყემსობით.

21. გაბრიელ არუთინაშვილი, მისი ცოლი, დედა, ეთნიკურად სომხები.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ხუთდღიურ საბატონო მიწას, იღებს 50 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 2 სული, თავს ირჩენენ ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით.

22. არუთინ ა(ო)კანაშვილი, მისი ცოლი, დედა. ეთნიკურად სომხები. (ფანქრით მიწერილი აქვს- ყარაბახი, შეიძლება-ოსკანაშვილი -დ.ხ.)



ალის წიმინდა გიორგის ეკლესია. .XIX საუკუნის ფოტო

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 20 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 3 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და დალაქობით ირჩენენ თავს.

23. გაბო ოსეფაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი დავითი, ქალიშვილი. ეთნიკური სომხები.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი. ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 23 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 8 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებენ სარჩოს.

24. პეპია გზირი, მისი ცოლი, ვაჟი როსტომი, ქალიშვილი. ყველა ეთნიკური სომეხი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 20 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებენ სარჩოს.

25. სტეფანე აკოფაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა არუთინი, მათი დედა. ყველა ეთნიკურად სომეხი.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 20 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებიდან იღებს სარჩოს.

26. მიკირტუმ ჩაჩან არუთინაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა პოღოსი, მათი დედა, ყველა ეთნიკურად სომეხი.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, თავს ირჩენენ დალაქობით.

27. ზაქარია ოქონაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა არაქელი.

აქვთ სახლი, ქირით დღიური მუშაობიდან აქვთ შემოსავალი.

28. მნაცაკან აკოფაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ვანი, მათი დედა. ყველა ეთნიკურად სომეხი. ამ ოჯახს დღიური სამუშაოების ქირით აქვთ შემოსავალი.

29. ოჰანეს ავაქაშვილი (ფანქრით მინაწერი - თბილისი-დ.ხ.) დღიური სამუშაოების ქირით ირჩენენ თავს.

თავად შანშე ბეგთაბეგოვის გლეხები:

30. ოთარ ხარშილაძე, მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები, შიო და გიორგი, მათი დედა.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, იღებს 30 კოდ პურს. ხვნა-თესვითა დასხვა სამუშაოებით იღებენ სარჩოს.

31. გიორგი ღამბარაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: ბერო, ტატულა, დავითი, არუთინი. ეთნიკური სომხები.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ხუთდღიურ საბატონო მიწას, იღებენ 50. კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი, 4 სული. ხვნა-თესვისა და ტილოს ქსოვით აქვს შემოსავალი.

32. თავად ივანე დავითაშვილის(დავიდოვ) გლეხი, გიორგი ხუციშვილი, მისი ცოლი, ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა თევდორე, მისი ცოლი.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ერთდღიურ მიწას, იღებს 12 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 5 სული, სხვადასხვა სამუშაოებიდან იღებენ სარჩოს.

33. თავად სოლომონ დავითაშვილის(დავიდოვ) გლეხი, გოგია ხუციშვილი, მისი ცოლი, ვაჟი, ივანე, ქალიშვილი, დედა.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ საბატონო მიწას, იღებს 50 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 6 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებენ სარჩოს.

34. თავად ივანე სულხანის ძე ბეგთაბეგოვის გლეხი, ფარემუზ ბეგაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: ბერე და გოგია(ფანქრით-ვ სურამ).ყველა ეთნიკურად სომეხი.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 5დღიურ საბატონო მიწას, იღებს 50 კოდ პურს, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

შენიშვნა: 1. ეს სოფელი გაშენებულია მდინარე ჭერათხეულაზე. მიწა- ვარგისი 2500 დღიური, მწირი 1000 დღიური. სოფელშია 1 კოშკი, ასევე ბეგთაბეგოვების, სხვა სავარგულები არ არის. მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობაა მესაქონლეობა და ნაწილობრივ მემინდვრეობა.

2. ადრე ამ სოფელში მცხოვრებ გლეხთა მცირე ნაწილი იხდიდა სურსათს თავად ბეგთაბეგოვების გლეხების რიცხვში, ახლა კი გადახდა შეუძლიათ კოლეგიის მდივან თავად ივანე ბეგთაბეგოვის, გარდა 6 უქონელი კომლისა, 23 კომლს. ხორბალი 69 კოდი, ქერი 46 კოდი. შანშე ბეგთაბეგოვის 2 კომლს - ხორბალი 6 კოდი, ქერი 2 კოდი. თავად ივანე დავითაშვილის(დავიდოვის) 1 კომლს - 3კოდი ხორბალი, 2 კოდი ქერი, თავად სოლომონ დავიდოვის1 კომლს ამდენივე, თავად ივანე სულხანის ძე ბეგთაბეგოვის ერთი კომლს ასევე.

სოფელ სომანეთში - კოლეგიის სეკრეტარის თავად ივანე სოლომონის ძე ბეგთაბეგოვის გლეხი

1. ბართლომე ჩ(ჭ)ირუაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი გიორგი. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 20 კოდ პურს, ხვნა - თესვითა და საფეიქრო,(საქსოვი) სამუშაოებით იღებს სარჩოს.

თავად ივანე ბეგთაბეგოვის გლეხი

1. გლახა ქუთი?შვილი, მისი ვაჟი საბა, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა თამაზი(?), მისი ცოლი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 6დღიურ საბატონო მიწას, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

თავად ივანე სულხანის ძე ბეგთაბეგოვის გლეხი

1. გრიგოლ ხოშელაძე (ხარშილაძე)?, მისი ცოლი, ვაჟი იაკობი, გრიგოლის დედა. ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 4დღიურ საბატონო მიწას, იღებს 50 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს წლიურ სარჩოს.

ცხინვალის მცხოვრებ მელქუა ჩიტაშვილის გლეხი

1. ბერუა ლაზარიაშვილი, მისი ცოლი და ქალიშვილი. ეს სამსულიანი ოჯახი ცხოვრობს სხვის სახლში, ხნავს ორდღიურ მიწას, იღებს 25 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.



ქვიშხეთი.XIX საუკუნის ფოტო

შენიშვნა. 1 ეს სოფელი გაშენებულია მდინარე ჭერათხეულას პირას, წყალი საკმარისია,. სახნავი მიწებით და ყველა სავარგულებით სარგებლობენ ვაყის მცხოვრებლებთან ერთად. მათი მთავარი საქმიანობა ხვნა-თესვა, მესაქონლეობა და სხვა სამუშაოებია.

2. უწინ ეს გლეხები არ იყვნენ დაბეგრილები არავითარი გამოსაღებით. ახლა კი გადახდა შეუძლიათ კოლეგიის სეკრეტარ ივანე ბეგთაბეგოვის 1 კომლს-ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი, თავად შანშე ბეგთაბეგოვის 1 კომლს ამდენივე, თავად ივანე სულხანის ძე ბეთაბეგოვის 1 კომლს ასევე, ცხინვალში მცხოვრებ მელქუა ჩიტაშვილის ერთ კომლს ამდენივე.

დალი ხაჩიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ.# 1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

ხელისშემშლელი პირობების მიუხედავად, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა მუშაობას აგრძელებდა 1921 წლამდე, ხაშურში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

ერთ საინტერესო საკითხსაც უნდა შევეხოთ. წკგს-ის საარქივო მასალები საყურადღებო ცნობას გვაწვდის ხაშურში გიმნაზიის შენობის აგების შესახებ. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გიმნაზიის სამზრუნველო, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა გიმნაზიისათვის შენობის აგება, ადგილის შერჩევის გამო, ორ ნაწილად გაყოფილან და ვერ შეთანხმებულან, თუ სად უნდა აეგოთ შენობა. სამზრუნველოს უთხოვნია გამგეობისათვის, რომ იგი ჩარეულიყო ამ საქმეში და ადგილზე (ხაშურში) გადაეწყვიტა საკითხი.

გამგეობას სპეციალური კომისია შეუქმნია ხაშურში გამოსაგზავნად. მასში შედიოდნენ ალ. მდივანი, ალ. ყიფშიძე, ლ. ბოცვაძე, არ. ჯაჯანაშვილი და იპ. ვართაგავა, რომლებსაც უნდა გადაეწყვიტათ, თუ სად უნდა აგებულიყო გიმნაზიის შენობა.

ამდენად, ხაშურის გიმნაზიის (დღევანდელი I საშუალო სკოლის) შენობის ადგილის შერჩევაში საზოგადოების გამგეობამ აქტიური როლი ითამაშა, სწორედ მისი წინადადება და რჩევა გაითვალისწინა სამზრუნველომ გიმნაზიის შენობის ადგილის შერჩევის დროს.

რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ წკგს-ის განყოფილების ხაშურში დაარსების საკითხსაც.

1907 წლის 21 მარტს წკგს ძველი, 1879 წლის წესდება შეიცვალა და მთავრობამ დაამტკიცა ახალი წესდება. წესდების 25-ე მუხლით საზოგადოებას უფლება ეძლეოდა, ადგილებზე გაეხსნა თავისი განყოფილებები. საზოგადოებას ასეთი განყოფილებები ადგილებზე შესაძლებლობას აძლევდა, უფრო ფართოდ და ნაყოფიერად წარემართა თავისი მუშაობა. განყოფილებები სულ მალე შეიქმნა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. 1918 წლისათვის საზოგადოებას უკვე ჰქონდა 49 განყოფილება.

ხაშურის მოწინავე საზოგადოებრიობის ინიციატივით 1915 ფორმალურად უკვე დაარსდა და 1916 წელს ოფიციალურად გაფორმდა საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების შექმნა.

1915 წელს ადგილობრივ განყოფილებაში გაერთიანებული ყოფილა 31 კაცი, რომლებსაც შეუტანიათ საწევრო გადასახადი თითოეულს 3-3 მანეთი. ამათ გარდა საზოგადოებაში გაწევრიანების სურვილი გამოუთქვამს კიდევ 27 კაცს, რომელთაც იმხანად თითო მანეთი შეუტანიათ.

1915 წლის 3 დეკემბერს საზოგადოების გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ვ. ბურჯანაძე ადგილზე საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელს კ. ძნელაძეს წერდა: „მთავარმა გამგეობამ მიიღო თქვენ მიერ გამოგზავნილი 93 მანეთი ხაშურის განყოფილების წევრთა საწევრო გადასახადი.

მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა ხაშურში განყოფილების დაარსების შესახებ შეიძლება მაშინ, როდესაც თქვენ, თანახმად ინსტრუქციისა, გამოგზავნით დამფუძნებელ წევრთა საორგანიზაციო კრების ოქმს...

გთხოვთ, დააჩქაროთ ასეთი ოქმის გამოგზავნა.”

1916 წლის 31 იანვარს, კ. ძნელაძის ხელმძღვანელობით, მოწვეული იქნა ქმწკგს-ის ხაშურის განყოფილების დამფუძნებელი კრება, რომელზეც საბოლოოდ გადაწყდა, დაარსებულიყო ადგილობრივი განყოფილება. ამ დროს განყოფილებაში ირიცხებოდა 74 წევრი.

კრებამ მიზანშეწონილად ჩათვალა ხაშურის რაიონში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, სახალხო სკოლისა და სახალხო უნივერსიტეტის გახსნის საჭიროება.

აირჩია დროებითი გამგეობა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ალექსანდრე მდივანი, ლეონტი მეტრეველი და კონსტანტინე ძნელაძე. გამგეობის წევრობის კანდიდატებად აირჩიეს იოსებ ყაჭეიშვილი, ალექსანდრე უტალიშვილი და თადეოზ სხილაძე.

1916 წლის 16 თებერვალს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე გ. ყაზბეგი თხოვდა თბილისის გუბერნატორს ხაშურის განყოფილების შექმნაზე ნებართვას.

იმავე წლის 12 ივლისს, საზოგადოების გამგეობის მდივანი ვ. ბურჯანაძე ხაშურის განყოფილების დროებით გამგეობას წერდა: „ხაშურში განყოფილების გახსნა ნებადართულია. გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ, მოიწვიოთ საზოგადოების კრება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ასარჩევად.”

ასეთი კრება გაიმართა 1916 წლის 14 სექტემბერს. კრებამ აირჩია გამგეობა ალექსანდრე მდივნის (თავმჯდომარე), კირილე ნინიძის, ნიკოლოზ სიხარულიძის, თეიმურაზ ჭუმბურიძის, ლეონტი მეტრეველის, ვასილი ზაქარეიშვილის, მიხეილ მარიამიძის შემადგენლობით. წევრობის კანდიტატებად აირჩიეს იაკობ გვარამაძე, დავით მელიქიძე და გერასიმე ხაბეიშვილი, ხოლო სარევიზიო კომისიაში ნიკიფორე იმნაიშვილი, ნოე დევიძე და ვასილ გოგიაშვილი.

ხაშურში საზოგადოების განყოფილების შექმნა მეტყველებს ადგილობრივი საზოგადოებრიობის მაღალ შეგნებულობაზე, იმ დიდ საქმიანობაზე, რასაც ისინი ეწეოდნენ რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის თვალსაზრისით.

მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოების ხაშურის განყოფილებამ თავისი საქმიანობა ისე ვერ წარმართა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. ამის მიზეზი იყო ის, რომ სულ მალე მოხდა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, საზოგადოების გამგეობისა და თვით საზოგადოების წევრების უმრავლესობა რაიონიდან წავიდა, რამაც უარყოფითად იმოქმედა საზოგადოების საერთო მდგომარეობაზე.

გაზეთი „საქართველო”, 1917 წლის აგვისტოში, უკვე წერდა, რომ ხაშურში „... არის საშუალო სასწავლებლები, სავაჟო და საქალებო და მრავალი დაწესებულებანი, მაგრამ ყველაზე უფრო უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება აქაური ქმწკგს საზოგადოება, მისი ხელქვეითი სამკითხველო და ქართული დრამატული წრე.”

1918 წლის 10 თებერვალს ქმწკგს-ის რწმუნებულთა საერთო კრებაზე აღინიშნა, რომ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებებს მოქმედების უნარიანობა ვერ გამოუჩენიათ. ასეთ განყოფილებათა შორის დასახელებულია ხაშურის განყოფილებაც.

1919 წლის 25 მაისს ქმწკგს რწმუნებულთა კრებაზე სხვა განყოფილებებთან ერთად დაისვა ხაშურის განყოფილების ლიკვიდაციის საკითხიც. ლიკვიდაციის მიზეზად კრება შემდეგ გარემოებას ასახელებდა: „საანგარიშო წლის განმავლობაში, ისე როგორც წარსული 1918 წლის განმავლობაშიც, საზოგადოების განყოფილებები ფაქტიურად არ მოქმედებდნენ. განყოფილებათა მოქმედების შეჩერების და უმოქმედების მიზეზი ადვილი ასახსნელია: ყველა ის კულტურული ძალები, რომელნიც წინათ ფილიალ-განყოფილებათა გამგეობაში მუშაობდნენ დღეს ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოების მუშაობაში ჩაებნენ. გამგეობა იმ აზრს დაადგა, რომ მოახდინოს ლიკვიდაცია ყველა იმ ფილიალის, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და ფაქტიურად კი არ მოქმედობს, ფილიალთა ქონება გადაეცეს ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებს.”

1920 წლის 3 იანვარს განყოფილების გამგეობის წევრი ვ. ზაქარეიშვილი საზოგადოების გამგეობის მდივანს წერდა, რომ 1917 წლის თებერვალს „...რევოლუციის შემდეგ... ის (ე.ი. ადგილობრივი გამგეობა) დარჩა ღვთის ანაბარად, მით უფრო, რომ თანამდებობის პირნი ამ გამგეობისა... გადასახლდნენ სხვადასხვა ქალაქებში. დავრჩი მე მარტო. დიდი შრომის შემდეგ შევძელი, მომეწვია საზოგადო კრება, რომელსაც გავაცანი საქმის მდგომარეობა. იქნა არჩეული ახალი გამგეობა, რომელიც არჩევნების მეორე დღესვე მოკვდა და დღესაც სულგანაბული განისვენებს... არ ვიცი, რამდენად სწორია მოქმედება ჩემი, მხოლოდ გამოსავალი ჯერჯერობით არ იყო მეტი. კვლავ მოვიწვევდი საზოგადო კრებას, მაგრამ შემეშინდა, იმის გამგეობაც არ მომკვდარიყო.

ეს მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ პროვინციაში საერთოდ ცოტანი არიან მამოძრავებელი ელემენტები, რის გამოც ერთსა და იმავე პიროვნებებს აკისრია მრავალი საქმეები, რომლებსაც ისინი ვერ აუდიან.

თუკი თქვენგან მივიღებ რაიმე დარიგებას ამ საქმის სიმაღლეზე დასაყენებლად, ყოველ ღონეს ვიხმართ ამხანაგებთან ერთად საქმის მოსაგვარებლად.”

როგორც ჩანს, არც საზოგადოების გამგეობიდან ყოფილა რაიმე მითითება ადგილზე მუშაობის გააქტიურების თვალსაზრისით და არც ხაშურის განყოფილებას გაუწევია რაიმე მნიშვნელოვანი მუშაობა. საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ხაშურის განყოფილება ფორმალურად მაინც აგრძელებდა არსებობას 1921 წლამდე.

ქალთა საზოგადოება ,,მანდილოსანი“. XX საუკუნის 10-იან წლებში გორში დაარსდა ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება „მანდილოსანი”. ამავე წლებში ხაშურის რაიონში ქალთა შორის ფართოდ გაიშალა მუშაობა აღნიშნული საზოგადოების განყოფილების დაარსებისათვის. 1915 წლის ბოლოს დ.სურამში, ხოლო 1916 წლის ივნისში ხაშურშიც გაიხსნა გორის ქალთა საზოგადოება „მანდილოსანის” განყოფილებები.

12 ივნისს, ხაშურში, მოწვეული იქნა ქალთა კრება, რომელზეც დაარსდა საზოგადოება „მანდილოსნის” განყოფილება. კრებამ აირჩია დროებითი გამგეობა, რომელსაც „...დაავალა შეგროვება საწევრო ფულისა და აგრეთვე რაც შეიძლება მეტი წევრების შეძენა.”

საზოგადოებამ, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური გაფორმება ვერ შეძლო, დიდი მუშაობა გასწია ქალთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის თვალსაზრისით, აწყობდა საღამო-წარმოდგენებს და ეწეოდა ფართო საქველმოქმედო საქმიანობას. დააარსა ქალთა საპროფესიო სკოლა, სადაც ახალგაზრდა გოგონები ეუფლებოდნენ ჭრა-კერვას, ქსოვას, ხელსაქმეს და სხვა.

1917 წლის თებერვლის შემდეგ ქალთა ორგანიზაციას ერთგვარი გათიშულობა დაეტყო. მასში სხვადასხვა პარტიულმა ინტერესებმა იჩინა თავი. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ სოციალისტ–ფედერალისტები.

21 აპრილს დაფუძნდა ხაშურის რაიონის დასელ ქალთა ორგანიზაცია, რომელიც მთლიანად სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პოზიციებზე იდგა. ქალთა კრებამ დეპეშაც კი გაუგზავნა რუსეთის დროებით მთავრობას, რომელშიც ნათქვამი იყო: „მიხაილოვის რაიონის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქალთა კრება უძღვნის რა სალამს დროებით რევოლუციურ მთავრობას, ღრმათ დარწმუნებულია, რომ განახლებული რუსეთი მამაკაცებთან ერთად, ქალსაც მიანიჭებენ მოქალაქეობრივ და პოლიტიკურს უფლებებს.”

30 აპრილს შედგა საზოგადოება „მანდილოსანის” კრება, რომელზეც თავი იჩინა სოციალ–ფედერალისტ და სოციალ-დემოკრატ ქალთა შორის განხეთქილებამ. კრების ძირითადი შემადგენლობა სოციალ–ფედერალისტთა მომხრეები იყვნენ. ამიტომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მომხრე ქალებმა კრება პროტესტის ნიშნად დატოვეს. „ამხანაგმა ქალებმა – წერს გაზეთი „ერთობა”,– პროტესტი განაცხადეს და ნაწილმა კრება დემონსტრაციულად დატოვა, ნაწილი კი დარჩა, რის ვაი- ვაგლახით აირჩიეს გამგეობა, რა თქმა უნდა, თავიანთ გემოვნებებზე.”

ე. ი. საზოგადოების გამგეობაში თითქმის მთლიანად სოციალ-ფედერალისტური პარტიის მომხრე ქალები აღმოჩდნენ, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ქალთა მეორე ნაწილი არჩევნების ხელმეორედ ჩატარებას მოითხოვდნენ.

იმდენად სერიოზულ ხასიათს ატარებდა ქალთა შორის განხეთქილება, რომ მათ ვერ შესძლეს საერთო ენის გამონახვა და საზოგადოება „მანდილოსანმა” მალე შეწყვიტა არსებობა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა” შემდეგს აღნიშნავდა: „...დ. ხაშურში მოწინავე მანდილოსანთა ინიციატორობით უნდა დაარსებულიყო ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი”, ამის შესახებ ნებართვაც აიღეს ქალებმა და საჭირო თანხაც შეაგროვეს. ხაშურელი ქალები, განურჩევლად მათი რწმენისა, დიდის იმედით შეჰყურებდნენ მომავალ საზოგადოებას და თავის წვლილს არ იშურებდნენ მისთვის. მაგრამ, როდესაც საქმე არჩევნებზე და „მანდილოსანის” გახსნაზე მიდგა, სამწუხაროდ, თავი იჩინა უსაფუძვლო ინტრიგამ, პარტიულმა განხეთქილებამ და სხვა არასაკადრისმა ექსცენსებმა და „მანდილოსანმა” თავი დაუკრა ხაშურელ მანდილოსნებს. ამ დღეებში მოხდა საზოგადო კრება „მანდილოსანისა” და ხმის უმრავლესობით გადაწყდა დახურვა და ქონების წევრებზე დანაწილება.”

საგამომცემლო საქმიანობა. XX საუკუნის დასაწყისის ხაშური ყურადღებას იპყრობს იმ გარემოებითაც, რომ აქ არსებობდა სტამბები, რომლებიც საინტერესო საგამომცემლო საქმიანობას ეწეოდნენ. „პატარა სტამბაც არსებობს აქ, – აღნიშნავდა გაზეთი „საქართველო” 1917 წლის 24 თებერვალს, მესტამბე იოსებ ყაჭეიშვილმა რამდენიმე ქართული პატარა წიგნაკიც გამოსცა.”

აქვე არსებობდა იაკინთე ცეცხლაძის სტამბაც. ი. ცეცხლაძის საქმიანობა საინტერესოა იმ გარემოებითაც, რომ მან ხაშურში გახსნა ერთ-ერთი პირველი წიგნის მაღაზია. იგივე გაზეთი „საქართველო” წერდა: „ხაშური მცხოვრებლებით სავსე დაბა გახლავთ, აქ სკოლებიც თავის შესაფერად არსებობს, მასთან რკინის გზის ქარხანაც დიდია, მუშებიც მრავალია, ხშირად აქ წარმოდგენებიც იმართებოდა. აქამდის ხაშურს აკლდა წიგნის მაღაზია და სამკითხველო... ასეთ მოზრდილ დაბაში, ვერას დროს ვერცერთ ქართულ წიგნს ვერ იშოვნიდი. ამ ბოლო დროს ხაშურში, წიგნის მაღაზია გააფართოვა იაკინთე ცეცხლაძემ და მასთან ქართულ წიგნებსაც დაუთმო კარგი, ფართო ადგილი. ასე რომ დღეის შემდეგ ამ მაღაზიაში კაცი ყოველთვის ადვილათ მოიპოვებს ქართულ ძველსა და ახალ წიგნებს, ვინაიდან იაკინთე ცეცხლაძემ უკვე მოლაპარაკება გამართა ყველა წიგნის გამომცემელთან და წიგნების შეძენაც დაიწყო. იმედია, ამ ახლად აღორძინებულს და გაფართოებულ მაღაზიას კარგი მომავალი ექნება. ამის იმედი ჩვენ მით უფრო გვაქვს, რომ თვით იაკინთე ცეცხლაძემაც პირდაპირ ამ მიზნით მოჰკიდა წიგნის მაღაზიას ხელი.”

ხაშურის სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურა დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და სხვადასხვა ბიბლიოთეკებში ინახება თითო–ოროლა ეგზემპლარი. გამოცემული წიგნებით ირკვევა, რომ ხაშურში სასტამბო საქმიანობას XXს-ის 10-იანი წლების დასაწყისიდან ჩაეყრა საფუძველი.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ახალგაზრდობა - იმედი ხვალის -

შალვა ლაბაძე: არ შეუშინდეთ დაბრკოლებებს და შედეგი უცილობლად მოვა...

დღეს ჩვენს მკითხველს გვინდა გავაცნოთ სოციალური ინოვაციების იდეების კონკურსის გამარჯვებული შალვა ლაბაძე და მისი გუნდი, რომლმაც გადაწყვიტა, სკოლის მოსწავლეებს შესთავაზოს LEGO განათლების კურსები და ამგვარად გაზარდოს პროფესიული განათლებისა და STEM მიმართულებებისადმი ინტერესი. შალვა ლაბაძე დაიბადა ხაშურში, 1997 წელს. მე-3 საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა გააგრძელა თბილისში, ტექნიკურ უნივერსიტეტში. პარალელურად, სწავლობდა პროფესიულ სასწავლებელში და საწარმოო ავტომატიზაციის



ტექნიკოსის პროფესია შეისწავლა. არის IT სპეციალისტი.

თუ როგორ მივიდა STEM სივრცის შექმნის იდეამდე, ამას თავად გვიყვება პროექტის აღმასრულებელი დირექტორი შალვა ლაბაძე:

-- სწავლის პროცესში მეძლეოდა საშუალება, ე.წ. ღია გაკვეთილების დროს, ცენტრში მოსული ახალგაზრდებისათვის გამეცნო ჩვენი პროგრამა. ასევე, მიმიღია მონაწილეობა სხვადასხვა გამოფენებში, სადაც მიწევდა პროგრამის პოპულარიზაცია, მანქანა-დანადგარების გამოყენებით. მაქვს თურქეთში, რობოტიკის საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის გამოცდილებაც, რამაც განსხვავებული ცონდა და ხედვა შემძინა.

კონკურსის გამოცხადებისთანავე, ერთ-ერთმა ჩემმა მეგობარმა დამირეკა და მაცნობა სოციალური ინოვაციების იდეების კონკურსის შესახებ... გავაკეთეთ განაცხადი და შევიტანეთ. 183 აპლიკაციიდან გავედით ოცეულში. იყო ჟიური და ყველა გამარჯვებულს გადასცემდნენ 30000 ლარს პროექტის განსახორციელებლად. ჩვენ პროექტი წარვადგინეთ განათლების სფეროში.

- შალვა, ვინ არიან შენი გუნდის წევრები?

- ჩემი მეგობარი, შოთა გენგაშვილი. პროფესიული კუთხით დაგვეხმარებიან და სასწავლო პროცესს კოორდინაციას გაუწევენ ჩვენი პროფესიული მასწავლებელი სალომე ონიანი და მოკლევადიანი პროგრამების მასწავლებელი ზურაბ ზედაშიძე. ამასთან ერთად, გუნდში გვყავს სტუ-ის ბიზნესტოქნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტები ლიზი ჩუბინიძე და მიხეილ ჭანტურია, რომლებიც გვეხმარებიან ბიზნეს-გეგმის გაკეთებაში.

-- რაც შეეხება იმას, თუ როგორ და რატომ მიხვედით ამ იდეამდე, რა არის თქვენი გუნდის მიზანი?..

ჩვენ გუნდს სურს, პოპულარიზაცია გაუკეთოს და დაინტერესება მოხდინოს პროფესიული განათლების მიმართ. STEM მიმართულება მნიშვნელოვანია სკოლის მოსწავლეებისათვის სხვადასხვა მიმართულებების წარმოსაჩენად. ამავდროულად, ხელს შეუწყობს დამატებითი უნარების გამომუშავებას. ამ გამოცდილებამ შესაძლოა სხვებსაც უბიძგოს რაღაც ახალი იდეისკენ ან როგორც მასწავლებლები, შემოგვიერთდნენ სოციალურ საწარმოში.

შევეცდებით დავაინტერესოთ გოგონები, რათა ხელი შევუწყოთ გარკვეული სტერეოტიპების მსხვრევას. მათ შორის, განსაკუთრებით საინტერესო იქნება, თუ როგორი იქნება გოგონების წილი როგორც უშუალოდ LEGO-ს საგანმანათლებლო კურსებზე, ისე შემდგომ პროფესიულ პროგრამებზე. პროექტი ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების, კერძოდ კი ინჟინერიის მიმართულებით პროფესიული პროგრამების პოპულარიზაციას. სკოლის მოსწავლეებს შორის ინფორმირებულობის გაზრდა ხელს შეუწყობს გააზრებული გადაწყვეტილების მიღებას სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლასთან დაკავშირებით.

-- სად გეგმავთ პროექტის განხორციელებას?

ამ ეტაპზე ვგეგმავთ პროექტის განხორციელებას თბილისში, ჩვენი პროფესიული სასწავლებლის ბაზაზე. შემდეგ ეტაპზე კი ვგეგმავთ რეგიონებშიც გადმოვიტანოთ პროექტის განხორციელება. ეს არის გრძელვადიანი 3-4 წლიანი პროექტი. პირველ ეტაპზე მოპოვებული თანხა 30 000 ლარი გაიხარჯება პროექტით გათვალისწინებული „ლეგო“ აღჭურვილობის შეძენაზე. ეს არის ასაწყობი სათამაშო, რომელსაც ბავშვი დააპროგრამებს და ნახავს თუ რა ფუნქციის ასრულებს ესა თუ ის მოწყობილობა. რისი საშუალებითაც გააკეთებს სხვადასხვა დიდი მოწყობილებების მუშაობის მოდელირებას. მოსამზადებელი ეტაპის გავლის შემდეგ, პროექტის განხორციელების დაწყებას ვგეგმავთ სექტემბრიდან.

-- თუ გეგმავ ხაშურის მოსწავლე-ახალგაზრდობაც ჩართო პროექტის განხორიელებაში?

-- დიახ, ნამდვილად იგეგმება პროექტის განხორციელების მეორე ეტაპზე.

-- შალვა, მოგვიყევით სხვა პროექტებში თქვენი გამოცდილების შესახებ...

-- ასეთ მასშტაბურ პროექტში პირველად მივიღე მონაწილეობა და პირველივე ცდა წარმატებული აღმოჩნდა. მანამდე კი, ვმონაწილეობდი საუნივერსიტეტო კონფერენციაში, სადაც წარვადგინე ჩემს მიერ აწყობილი რობოტი „ღამურა“, რომელიც არჭურვილი იყო ულტრაბგერითი სენსორით და დაბრკოლების შემთხვევაში ცვლიდა სამოძრაო მიმართულებას და ერიდებოდა დაბრკოლებას. ამ რობოტით ბაკალავრებში გავედი პირველ ადგილზე. ასევე მონაწილეობა მივიღე თურქეთში გამართულ „რობოტიკის“ კონკურსში.

-- რა იქნება შენი გზავნილი მოსწავბლე-ახალგაზრდობისათვის?

სოციალური ინოვაციების ცენტრი კვლავ აცხადებს კონკურსს და მათ ვურჩევდი, მიიღონ მონაწილეობა, რაც მათთვის იქნება შესაძლებლობა შეიძინონ მრალაფეროვანი გამოცდილება. გადალახონ დაბრკოლებები შედეგის მისაღწევად.

როგორც სოციალური ინოვაციების იდეების კონკურსის გამარჯვებული შალვა ლაბაძე ამბობს, განათლების კურსები განკუთვნილია სკოლის მოსწავლეებისათვის, რაც გაზრდის მათ დაინტერესებას პროფესიული განათლების და განსაკუთრებით STEM მიმართულებების მიმართ. - განათლების კურსები დაინერგება ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნიკური გადამზადების საუნივერსიტეტო ცენტრის თანამედროვე აღჭურვილ შენობაში, ცენტრი, ასევე, ითანამშრომლებს დაინტერესებულ სკოლებთან და შეძლებს თავისი პრაქტიკის გავრცელებას.

თეა ახალკაცი

განახლებული „ივერიის“ სტადიონი მთელი ხაშურის მშვენება გახდება

ხაშურის თოჯინების თეატრის კიდევ ერთი აღიარება

პირველი ადგილი და გრან-პრი „ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსიდან“ - ასეთია შედეგი ხაშურის თოჯინების თეატრისა, რომელიც ამ ფესტივალზე ვლადიმერ ორლოვის პიესის - „ოქროს წიწილას“ მიხედვით განხორციელებული სპექტაკლით წარსდგა (რეჟისორი ლალი კახეთელიძე). როგორც თეატრის დირეტორმა გია ბოლოკაძე ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ფესტივალი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და მასში უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის და საქართველოს თეატრალური დასები მონაწილეობდნენ. ფესტივალი უკრაინული კომპანიის - „ჯემ-ფესტის“ და ქართული კომპანიების „მზიანი საქართველოს“ და „ნარი-ნჯისფერი ქობულეთის“ მიერ იყო ორგანიზებული.

ჩვენი თეატრი უკვე მეთოთხმეტედ მონაწილეობს მსგავს ფესტივალში და, როგორც ფესტივალის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, იგი უკვე ერთგვარ მეტრად იქცა სხვა თეატრებისათვის, რომლებმაც სწორედ მასზე უნდა მოახდინონ სწორება. ფესტივალის ჟიურის თითოეულმა წევრმა უმაღლესი შეფასება მისცა ხაშურლების სპექტაკლს და დამსახურებული პრიზიც ჩვენმა დასმა მიიღო.

ვულოცავთ მთელს კოლექტივს,დასის თითოეულ წევრს ამ აღიარებას და მომავალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ. გვჯერა, ისინი კიდევ მრავალჯერ გაახრებენ თავისი ულამაზესი წარმოდეგენებით ჩვენს პატარებს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე.
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.